

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
პირველი კოლეგიის

განმწესრიგებელი სხდომის

განჩინება №1/12/1694
2025 წლის 8 ოქტომბერი
ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე.

სხდომის მდივანი: სოფია კობახიძე.

საქმის დასახელება: ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

დავის საგანი: (ა) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით; (ბ) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის – ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წარმომადგენლები – სალომე შუბლაძე და ქეთევან როგავა; მოპასუხე მხარის, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ლელა ჭანტურია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის ენერგეტიკული პროექტების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ზურაბი არველაძე და სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსი ვენერა მეტრეველი.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1694) მომართა ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“. №1694 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადმოეცა 2022 წლის 18 აპრილს.



№1694 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2024 წლის 5 ივნისს.

2. №1694 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების (შემდგომში – საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესი და პირობები) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებია საქართველოს მთავრობა, ხოლო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „პროექტის განხორციელების უფლება პროექტის განმახორციელებელ პირს გადაეცემა ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, თუ ამავე ხელშეკრულებით/მემორანდუმით სხვა რამ არ არის დადგენილი.“ აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას ამ წესის მიხედვით წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა.“

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებით კი დადგენილია, ერთი მხრივ, ყველას უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის თაობაზე.

5. №1694 კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა გარემოს დაცვის ხელშეწყობა, მათ შორის, ენერგოპროექტების განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგის, შეფასებისა და, ამ პროცესში, დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლობის გზით. მოსარჩელის მითითებით, ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებების მქონე სუბიექტად მოიაზრება. იმავდროულად, საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს აქვს მართლმსაჯულებაზე განსაკუთრებული ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, მაღალია მისი დაინტერესება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და რელევანტური ინფორმაციის ფლობის კუთხით. სწორედ ამიტომ, ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე და მე-18 მუხლებთან მიმართებით იგი არის კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

6. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების თანახმად, საქართველოს მთავრობა, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას ენერგოპროექტის განხორციელების თაობაზე, აფორმებს ხელშეკრულებას/მემორანდუმს და ამ ეტაპიდან გადასცემს კომპანიას ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების უფლებას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით, სადავოდ ხდის, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომლის შესაბამისადაც, ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს და პროექტის



განხორციელების უფლებას წარმოშობს ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებამდე.

7. მოსარჩელე მხარის მოსაზრებით, საზოგადოების მონაწილეობის საჭიროება არსებობს ყველა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს გარემოზე ან/და, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შემოწმების პროცედურას. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, როგორც ამავე პროცესის კონტროლის მექანიზმი, ემსახურება გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების ხარისხის ამაღლებას, ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიურ საკითხებში გათვითცნობიერებას და ქმნის საზოგადოებრივი პროტესტის გამოხატვისა და ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

8. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების ეფექტიანი რეალიზებისათვის საჭიროა საზოგადოების ადრეულ ეტაპზე ჩართულობის უზრუნველყოფა, მაშინ როდესაც არსებობს სხვადასხვა ალტერნატივები, მათ შორის, პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების შესახებ იღებს საქართველოს მთავრობა და უფლებას გადასცემს შესაბამის კომპანიას. შემდგომ, სტრუქტურულად ქვემდგომი ორგანო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) იღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. მსგავსად მოწყობილ პროცესში არ რჩება სივრცე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის, ხოლო საზოგადოებას – რეალური ზემოქმედების ბერკეტები. შესაბამისად, თუ ენერგოპროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საზოგადოების ჩართულობის გარეშე, შემდგომ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება ვერ მიიჩნევა ეფექტიანი ჩართულობის მექანიზმად.

9. №1694 კონსტიტუციური სარჩელის განხილვის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ ერთმანეთისაგან განასხვავა პროექტები, რომლებზეც ვრცელდება გარემოსდაცვითი კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურები, ხოლო, მეორე მხრივ, პროექტები, რომლებიც გარემოსდაცვითი კოდექსის მოქმედების ფარგლებს მიღმაა. მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ არაკონსტიტუციურობის რისკებს წარმოშობს როგორც №515 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით იმ ელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებიც გადის სკოპინგის ან სკრინინგის პროცედურას, ასევე ისეთი პროექტები, რომლებიც საერთოდ არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, მოსარჩელის არგუმენტაციით, იმ შემთხვევებში, როდესაც გათვალისწინებულია სკოპინგის პროცედურა ან სკრინინგის პროცედურის გავლის შემდგომ დადგინდება, რომ საჭიროა სკოპინგის პროცედურის გავლა, მართალია, ტარდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება და საზოგადოება ერთვება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა მისივე მოსაზრებით, ფორმატი დაგვიანებული და არაეფექტიანია. იმ შემთხვევებში კი, როდესაც სკრინინგის პროცედურით დადგინდება, რომ არ არის საჭირო სკოპინგის პროცედურის გავლა ან კანონი პირდაპირ უთითებს გარკვეული სიმძლავრის ელექტროსადგურების გათავისუფლებაზე სკოპინგის პროცედურისგან, არ ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ამრიგად, იმ კატეგორიის პროექტებთან მიმართებით, რომლებიც ზემოქმედებს გარემოზე, თუმცა რომლებზეც არ ვრცელდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოქმედება, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა მიმდინარეობს საზოგადოების ჩართულობის გარეშე.

10 მოსარჩელე მხარემ ყურადღება გაამახვილა სადავო ნორმებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბუნებაზეც და აღნიშნა, რომ ხსენებული ხელშეკრულება არ არის მხოლოდ კვლევების დაწყების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, არამედ წარმოადგენს განხორციელების ხელშეკრულებას. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულება არის ორფაზიანი და მოიცავს როგორც წინარე პერიოდს, აგრეთვე სამშენებლო პერიოდს, რომლის საქართველოს მთავრობასთან გაფორმების მომენტიდან ინვესტორს ეძლევა პროექტის განხორციელების შესაძლებლობა და, იმავდროულად, წარმოემობა, მაგალითად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვის უფლება, სახელმწიფოს კი ვალდებულია, დახმარება გაუწიოს მას ყველა საჭირო ნებართვის მოპოვებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული ხელშეკრულება არის ინვესტორისათვის უფლების წარმომშობი დოკუმენტი.



11. მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმები ფორმალური თვალსაზრისითაც არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. კერძოდ, მოსარჩელის არგუმენტაციით, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის, მათ შორის, აღნიშნული უფლების შეზღუდვის საკითხები აუცილებელია, მოწესრიგდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტით. საპირისპიროდ, სადავო რეგულირებები შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამავდროულად, სადავო დადგენილება მიღებულია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას, შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთიანობა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, კონკურენტული და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება და მართოს სახელმწიფო ქონება. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული უფლებამოსილებები ზედმეტად ფართოა იმისთვის, რომ მათში ამოკითხულ იქნეს კონკრეტული უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობაზე დელეგირება ან/და დელეგირების მიზანი, შინაარსი და ფარგლები. ამავდროულად, გარემოს შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების საქართველოს მთავრობაზე დელეგირებას არ ითვალისწინებს არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება შეზღუდულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით, იმგვარად, რომ არ მომხდარა საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობაზე დასახელებული უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტების დაცვით.

12. №1694 კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელე ასაჩივრებს აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მიუთითებს, რომ, ენერგოპროექტის განხორციელების მიზნით, სამინისტროში წარდგენილი წინადადება და დოკუმენტაცია მიეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას, რომლის ღიაობაზეც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. მოსარჩელე მხარის განმარტებით, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გულისხმობს არა მარტო გარემოს ელემენტების შესახებ ინფორმაციას, არამედ სხვადასხვა ადამიანურ და არაადამიანურ ფაქტორებს, საქმიანობებს, ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენს ან შესაძლოა, მოახდინოს გარემოს ელემენტებზე, აგრეთვე ეკონომიკურ ანალიზსა და გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოქმნილ ვარაუდებს, ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკას, გეგმებს, პროგრამებსა და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც გარემოს მდგომარეობაზე ზემოქმედებს. წარდგენილი წინადადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელზეც უნდა გავრცელდეს სადავო ნორმით დადგენილი კონფიდენციალურობის ვალდებულება, მოიცავს პროექტის გარემოზე ზემოქმედების პირველად მონაცემებს, ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობასა და ძირითად პარამეტრებს, ობიექტის განთავსების ტერიტორიის სეისმურ მონაცემებს, ჰიდროლოგიურ და მეტეოლოგიურ მონაცემებს, ენერგეტიკულ მოდელს, ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციასა და ეკონომიკურ ანგარიშს. სწორედ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას, ენერგოპროექტის განხორციელების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები ექცევა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დეფინიციამ და სადავო ნორმა ბლანკეტურად ზღუდავს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას. ამრიგად, პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე, ინფორმაციის ამ კატეგორიაზე ხელმისაწვდომობის ბლანკეტური შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მატერიალურ მოთხოვნებს. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) არ განეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას, ერთი მხრივ, საკუთარი შინაარსობრივი მახასიათებლის, მეორე მხრივ, კი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაციის გასაიდუმლოება არ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის წესებისა და პროცედურების დაცვით. გარდა ამისა, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა იძლევა გაცილებით უფრო ფართო სპექტრის ინფორმაციის გასაიდუმლოების შესაძლებლობას, ვიდრე ეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის გათვალისწინებული. დამატებით, მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან გამოითხოვა სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაცია, რაზეც პასუხი არ მიუღია.



13. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობა უზრუნველყოფს გარემოს შესახებ გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის უფლების ეფექტიან რეალიზებას. საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინფორმაციის სრული დახურვა ილუზორულს აქცევს ამგვარ მონაწილეობას. მართალია, საზოგადოების ინფორმირებულობის ვალდებულების შესრულებისას სახელმწიფო არ არის შეზღუდული ინფორმაცია შეაგროვოს რომელიმე კონკრეტული წყაროდან, თუმცა ამგვარი შეზღუდვის პირობებში არ რჩება საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის რაიმე ალტერნატიული საშუალება. შესაძლოა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ეტაპზე საზოგადოებამ ნაწილობრივ შეძლოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების ეკოლოგიური ასპექტების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუმცა საზოგადოების წვდომის მიღმა დარჩება საპროექტო წინადადების სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები, მათ შორის, ეკონომიკური და ხარჯსარგებლიანობის ანგარიში, რაც საზოგადოებისთვის შეუძლებელს ხდის დაპირისპირებულ ინტერესთა შეწონასწორებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. მსგავს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, რთულდება ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში სამართლებრივი დავის წარმართვის შესაძლებლობაც.

14. ამავდროულად, მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო რეგულირება დადგენილია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ისე რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან/და სხვა კანონით არ მომხდარა ენერგოპროექტზე წარდგენილი წინადადებისა და თანდართული დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობაზე დელეგირება. ამრიგად, მოსარჩელის პოზიციით, სადავო რეგულირება ეწინააღმდეგება უფლების შეზღუდვის საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

15. ამ თვალსაზრისით მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი არის იმ ნორმის ანალოგიური შინაარსის მქონე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“. მოსარჩელის განცხადებით, დასახელებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ზოგადი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა კანონქვემდებარე აქტით იმ პირობებში, როდესაც არ მომხდარა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება საკანონმდებლო აქტით. მართალია, სადავო ნორმა ითვალისწინებს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შეფასებული ნორმისგან შინაარსობრივად განსხვავებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვას, თუმცა გადამწყვეტია არა ინფორმაციის შინაარსი, არამედ უფლების შეზღუდვის ფორმალური მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი.

16. აღნიშნულიდან გამომდინარე, №1694 კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელე მხარე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, შუამდგომლობს №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და განმწესრიგებელი სხდომის ფარგლებში, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

17. 2024 წლის 5 ივნისს, საქმის განხილვის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და განაცხადა, რომ ითხოვს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღებს, რომ დავის საგანს წარმოადგენს: (ა) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით; (ბ) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის



ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით.

18. მოსარჩელე მხარე საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაზე, რელევანტურ საერთაშორისო დოკუმენტებსა და ორჰუსის კონვენციის შესაბამისობის კომიტეტის პრაქტიკაზე.

19. მოპასუხე მხარის – საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, №1694 კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელ სხდომაზე განმარტეს ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების წესი და პროცედურები და აღნიშნეს, რომ, ზოგადად, გადაწყვეტილებას იმის შესახებ ელექტროსადგურის პროექტი განხორციელდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში თუ ამგვარი თანამშრომლობის გარეშე, იღებს ინვესტორი. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ინვესტორი ხელმძღვანელობს არჩეული პროექტის ტიპისათვის დადგენილი ინიცირების წესით. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით ინიცირებული პროექტი მოწმდება სიცოცხლისუნარიანობაზე, რაც, როგორც წესი, გულისხმობს რამდენიმეფაზიანი ხელშეკრულების/მემორანდუმის დადებას. მოპასუხის განმარტებით, სადავო დადგენილების ფარგლებში, შესაძლოა, გაფორმდეს სამი ტიპის ხელშეკრულება – კერძოდ, კვლევის დაწყების უფლების მოპოვების შესახებ, კვლევა-მშენებლობის ან პირდაპირ მშენებლობის უფლების შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადების წარდგენის პროცესში ინვესტორი უკვე ფლობს ყველა საჭირო კვლევას/დოკუმენტაციას. მოპასუხე მხარის განმარტებით, გასაჩივრებული აქტის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების დაახლოებით 90% არის ორფაზიანი, რაც გულისხმობს კვლევა-მშენებლობას, ხოლო 10% – ერთფაზიანი, რაც გულისხმობს კვლევის ან მშენებლობის ხელშეკრულებას/მემორანდუმს. ამასთანავე, მოპასუხის მითითებით, სადავო აქტში მითითებული პროექტის განხორციელების უფლების მოპოვება არ არის კლასიკური გაგებით, ამგვარი პროექტის განხორციელების ნებართვა და არ გამოირიცხავს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა ნებართვების, შეფასებებისა და, მათ შორის, სოციალური რისკების შეფასების კვლევის მოპოვება-წარმოდგენის ვალდებულებას. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, კანონმდებლობა ითვალისწინებს დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრებას და მემორანდუმის/ხელშეკრულების გაუქმებას.

20. საქართველოს მთავრობამ დაახასიათა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები, თითოეული სახელშეკრულებო ფაზის ბუნების გათვალისწინებით. კერძოდ, მოპასუხე მხარის მითითებით, თუ დაინტერესებულ პირს სურს მხოლოდ კვლევის ხელშეკრულების გაფორმება, იგი სამინისტროში წარადგენს პროექტის შესახებ მომზადებულ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას (ე.წ. ფონდურ მასალაზე დაყრდნობით), თანდართული წერილით, სადაც მითითებული იქნება პროექტის მოკლე აღწერა და დაინტერესებული პირის სურვილი, კვლევის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საკითხი კვლევა-მშენებლობის ხელშეკრულების გაფორმებას შეეხება, პირი წარადგენს ზემოხსენებულ დოკუმენტაციას იმ განსხვავებით, რომ დაინტერესებული პირი წერილში გამოხატავს კვლევა-მშენებლობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე სურვილს. ამასთანავე, კვლევის დასრულებისა და სამინისტროში წარდგენის შემდგომ დაინტერესებულ პირთან ხელი ეწერება მშენებლობის ეტაპის დაწყების შესახებ შეთანხმებას. თავის მხრივ, მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირს საქართველოს მთავრობასთან სამშენებლო ფაზის ხელშეკრულების გაფორმება სურს, იგი სამინისტროს წარუდგენს სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტს და შესაბამის ბრძანებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა, სამინისტროს აგრეთვე წარუდგინება პროექტის მოკლე აღწერა და დაინტერესებული პირის სურვილი, მშენებლობის ეტაპის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

21. იმავდროულად, მოპასუხე მხარის განმარტებით, იმ ელექტროსადგურების ტიპებსა და სიმძლავრეებთან მიმართებით, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, ამგვარი გადაწყვეტილების მოპოვება უნდა მოხდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის



მიმდინარეობისას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წარმოადგენს დაინტერესებულ პირთან სამშენებლო ფაზის ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ წინაპირობას. აღნიშნული გადაწყვეტილების მოპოვების შეუძლებლობის ან სამინისტროში წარდგენის გარეშე დაინტერესებულ პირს სამშენებლო ფაზის ხელშეკრულება ვერ გაუფორმდება. დასაშვებია, საქართველოს მთავრობის მიერ დაინტერესებული მხარისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაპოვებლად დამატებითი, გონივრული დროის განსაზღვრა. თუ ხსენებული ვადის განმავლობაში ვერ მოხდება ამ უკანასკნელის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვება, საქართველოს მთავრობასა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გაწყდება. იმ შემთხვევაში კი, თუ დაინტერესებული პირი, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით ელექტროსადგურის მშენებლობისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, საქართველოს მთავრობა, მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ნორმების საფუძველზე, წყვეტს ხელშეკრულებას დაინტერესებულ პირთან.

22. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინა ხელშეკრულებების ნიმუშები, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილებას, მათ შორის, განმეორებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია (დაინტერესებული პირი) იყენებს უფლებას, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიშის ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/საჯარო განხილვების შედეგების საფუძველზე, როდესაც ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოპასუხე მხარისაგან გამოეგზავნა აგრეთვე საქართველოს მთავრობის რიგი განკარგულებები, სხვადასხვა კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

23. მოპასუხე მხარის არგუმენტაციით როგორც სკოპინგის, ისე სკრინინგის პროცედურების გავლისას დაცულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის სტანდარტები. სკოპინგის პროცედურისას ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ინფორმაცია და დოკუმენტაცია ქვეყნდება საჯარო პორტალებზე, საზოგადოებას ეძლევა 40 დღე მოსაზრებების წარმოსადგენად და, მინიმუმ ორჯერ, ხდება საჯარო განხილვა. სკრინინგის პროცედურის შემთხვევაში, ასევე საჯარო ინფორმაცია იმ სხვაობით, რომ მოსაზრებების წარდგენისთვის დადგენილია 5-დღიანი ვადა, ხოლო საჯარო განხილვები არ ტარდება. სააგენტო ითვალისწინებს წარმოდგენილ მოსაზრებებს და მიღებულ გადაწყვეტილებას თან ურთავს შესაბამის დასაბუთებას. აღნიშნული პროცედურის გავლის სავალდებულო ბუნება დამოკიდებულია ენერგოპროექტის სიმძლავრეზე და განსაზღვრულია კანონით, პროცედურის ჩატარების გადაწყვეტილებაზე გავლენას არ ახდენს პროექტის ტიპი. ამავდროულად, პროცედურა მიმდინარეობს დამოუკიდებლად და ინვესტორის მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმი ვერ იქნება გავლენაუნარიანი პროცედურის წარმართვისას. მოპასუხის მითითებით, ნებისმიერი ენერგოპროექტი, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას, არ შეიძლება განხორციელდეს, შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია გაიცეს ან სტადია დასრულდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილების ფარგლებში განხორციელებულ იმ პროექტებზე, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოქმედების ფარგლებში. მოპასუხე მხარემ აქცენტი იმ გარემოებაზეც გააკეთა, რომ, პრაქტიკაში, ძირითადად, ენერგოპროექტების აბსოლუტური უმრავლესობა იშვიათი გამონაკლისების გარდა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულ პროცედურას ექვემდებარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე არ არსებობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის საჭიროება.

24. მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილების ფარგლებში წარდგენილი წინადადებების/შესაბამისი დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის მოთხოვნა არ არის ბლანკეტური ხასიათის და არ გულისხმობს ინფორმაციის სრულ და ავტომატურ დაფარვას. დაინტერესებულ პირს აქვს ვალდებულება, დასაბუთებული მოთხოვნა წარადგინოს ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის მიზნობრიობის დასადასტურებლად, ხოლო სამინისტრო განიხილავს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას და



სარეგულაციო უფლებით, სრულად ან ნაწილობრივ დახუროს ინფორმაცია, დაინტერესებული პირის ეკონომიკური თუ კომერციული საჭიროებიდან გამომდინარე. მოპასუხის არგუმენტაციით, პრაქტიკაში, ძირითადად, კონფიდენციალური ხდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება კომერციულ საიდუმლოებას ან არის კომპანიის ინოვაცია. ინფორმაციის დაფარვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სტანდარტებით და იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადებების/შესაბამისი დოკუმენტაციის გასაჯაროება ზიანს არ აყენებს დაინტერესებული პირის (ინვესტორის) პროფესიულ/კომერციულ ინტერესებს მიიღება გადაწყვეტილება ამგვარი ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

25. მოპასუხე მხარემ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ფორმალურ კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადავოდ გამხდარი კანონქვემდებარე აქტი მიღებულია კანონის აღსასრულებლად, მთავრობისთვის მინიჭებული ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და საინვესტიციო კომპეტენციების ფარგლებში. შესაბამისად, ენერგოპროექტის წარდგენისთვის წესისა და პირობების საქართველოს მთავრობის მიერ დადგენა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს. ინფორმაციის წვდომასთან მიმართებით კი, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სრულად არეგულირებს მოცემულ საკითხს, ხოლო სადავო ნორმა იდენტური შინაარსის მატარებელია, არ საჭიროებს ამ საკითხის რეგულირებისთვის საქართველოს მთავრობაზე დამატებითი უფლებამოსილების დელეგირებას.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ №1694 კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს არსებითად განსახილველად მიღებული.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმად გამოცხადების საკითხი

1. №1694 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში სადავოდ არის გამხდარი, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო რეგულაცია წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმას. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისა და განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნობის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, ... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების



დარღვევის პრევენციისა და, ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანობის მისაღწევად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

4. სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღების გარეშე განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნობისათვის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიხედვით, აუცილებელია ორი წინაპირობის დაკმაყოფილება. კერძოდ, საჭიროა, რომ (ა) სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავდეს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად; და (ბ) საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებდეს თავის გადაწყვეტილებაში ადრე გამოხატულ პოზიციას. შესაბამისად მოცემულ ეტაპზე უნდა დადგინდეს, რამდენად იმეორებს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. ამასთანავე, არაკონსტიტუციურად ცნობილ და გასაჩივრებულ ნორმებს შორის არსებითი მსგავსების დადგენის პირობებშიც კი საჭიროა, გამოირკვეს, ხომ არ არსებობს რაიმე ახალი გარემოება, რაც წარმოშობს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას.

5. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ მუხლში არსებული ტერმინი „იმავე შინაარსის ნორმა“ არ გულისხმობს სიტყვასიტყვით იმავე ფორმულირების შემცველი წესის მიღებას/არსებობას. სადავო ნორმების მსგავსება ფასდება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა მათ აერთიანებდეს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11). სადავო ნორმებს შორის მხოლოდ ტექსტობრივი, რედაქციული ან სხვა ფორმალური სხვაობა ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ ჯერზე, აფასებს, რამდენად არის სადავო რეგულირება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი, შინაარსის, მიზანმიმართულების, კანონმდებლის მიერ მასში გამოხატული ნებისა და სამართლებრივი საშუალებების გათვალისწინებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10). შესაბამისად, ხსენებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლო თავდაპირველად შეაფასებს, გააჩნია თუ არა მოცემულ საქმეზე სადავოდ გამხდარ ნორმას არსებითად იგივე შინაარსი, რომელიც მის მიერ ერთხელ უკვე იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით.

6. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, გასაჩივრებული ნორმის მიხედვით, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იზღუდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმალურ მოთხოვნებს. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე ითხოვს, რომ სადავო ნორმა გამოცხადდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმად, აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასთან ფორმალური მსგავსებისა და ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფის გამო. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის დამძლევი ხასიათს მხოლოდ ფორმალური დამძლეობის ჭრილში შეაფასებს.

7. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიზნებისათვის, ნორმებს შორის ფორმალური თვალსაზრისით შინაარსობრივი მსგავსების დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, რამდენად არსებობს იმავე კონსტიტუციური უფლების ფარგლებში დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნა და არღვევს თუ არა სადავო ნორმა აღნიშნულ მოთხოვნას იდენტურად, როგორც ეს იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შემთხვევაში (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/19/1241 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10).



8. საკონსტიტუციო სასამართლომ, 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც მოსარჩელეს უზღუდავდა საგრანტო პროექტის შემფასებელი ექსპერტების ვინაობის გაცნობის უფლებას.

9. აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება ადგენს საკითხის კანონით მოწესრიგების ფორმალურ მოთხოვნას, რაც გულისხმობს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაშვებობას მხოლოდ კანონით ან კანონით დადგენილი წესით დელეგირებული უფლებამოსილებით. რეგულაცია, რომელიც ზღუდავს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/დოკუმენტზე ხელმისაწვდომობას, მიღებული უნდა იყოს ან უშუალოდ საკანონმდებლო ორგანოს მიერ ან მის მიერ დადგენილი წესით, სხვა ორგანოსათვის გადაცემული უფლებამოსილების საფუძველზე (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-19). ხსენებულ საქმეზე, დადგინდა, რომ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობა წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას, რომელზე საზოგადოების წვდომაც იზღუდებოდა არა საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო აქტის, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე და, იმავდროულად, არ არსებობდა საქართველოს პარლამენტის მიერ ექსპერტების ვინაობის კონფიდენციალურობის დადგენისა და მითითებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების კანონით დადგენილი წესით დელეგირება საქართველოს მთავრობაზე (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-20-26). აღნიშნულზე დაყრდნობით, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებასთან ფორმალური შეუსაბამობის მოტივით სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

10. განსახილველ საქმეზე, როგორც აღინიშნა, სადავოდ არის გამხდარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა. სადავო ნორმის თანახმად, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების წარმდგენი, პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას ამ წესის მიხედვით წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა. იმისათვის, რომ დადგინდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასა და მოცემულ საქმეზე სადავოდ გამხდარ რეგულირებას შორის მსგავსების არსებობა-არარსებობის საკითხი, აუცილებელია, გამოირკვეს, რამდენად არის პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ წარდგენილი წინადადებები (შესაბამისი დოკუმენტაცია) საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაცია.

11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული პირი წინადადებას წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო). საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მიხედვით, სამინისტრო არის მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, კანონის საფუძველზე შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოცანებს.

12. უდავოა, რომ სამინისტრო არის სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს



საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული დაწესებულება, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, მათ შორის, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. შესაბამისად, სამინისტრო წარმოადგენს „საჯარო დაწესებულებას“, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით კი, ამგვარ დაწესებულებაში თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული, როგორც საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია/დოკუმენტი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13).

13. ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებები (შესაბამისი დოკუმენტაცია) მოიცავს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განაცხადს, რაც საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკუთარ თავში აერთიანებს ინფორმაციას განმცხადებლისა და მისი მოთხოვნის შესახებ და თანდართულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის წინარე კვლევას. თავის მხრივ, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის წინარე კვლევა მოიცავს შემდეგ მონაცემებს: ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობა და ძირითადი პარამეტრები; ობიექტის განთავსების ტერიტორიის მოკლე გეოლოგიური მონაცემები, გეოლოგიური რუკა (ფონდური მასალის საფუძველზე); ობიექტის განთავსების ტერიტორიის სეისმური მონაცემები, სეისმური რუკა; ჰიდროლოგიური და მეტროლოგიური მონაცემები (საშუალო თვიური მაჩვენებლები), ქარის ელექტროსადგურის შემთხვევაში – ქარის დაკვირვების მონაცემები, ხოლო მზის ელექტროსადგურის შემთხვევაში – მზის დაკვირვების მონაცემები; ენერგეტიკული მოდელი (სავარაუდო გამომუშავების შესახებ); პირველადი მონაცემები გარემოზე ზემოქმედების შესახებ; ქსელზე მიერთების სავარაუდო სქემა და ქსელის შესაძლებლობა, მიიღოს გამომუშავებული ელექტროენერჯია; ინფორმაცია ინფრასტრუქტურის თაობაზე (არსებული და მშენებარე გზები, დატანილი უნდა იყოს ტოპორუკებზე, სავარაუდო მანძილების მითითებით); სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა; ეკონომიკური ანგარიში (პროექტის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის მოცულობას, ხანგრძლივობას, საკრედიტო განაკვეთს). სამინისტრო განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას ინახავს და ამუშავებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

14. ამდენად, ზემოხსენებული წინადადებები (დოკუმენტი) შეიცავს გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების, ღონისძიებებისა და აქტივობების, ხარჯ-სარგებლიანობისა თუ ეკონომიკური ანალიზისა და ვარაუდების შესახებ თუ გარემოზე ზემოქმედების თაობაზე სხვა რელევანტური ინფორმაციის საკმაოდ ფართო სპექტრს, რაც უდავოს ხდის მასზე [ინფორმაციაზე] საზოგადოების ხელმისაწვდომობის ინტერესს/საჭიროებას. შესაბამისად, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებები (შესაბამისი დოკუმენტაცია) წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას/დოკუმენტაციას, რომელზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიმართაც ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ფორმალური მოთხოვნები.

15. კონსტიტუციური დავის გადაწყვეტის შემდგომ ეტაპზე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად ზღუდავს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უფლებას და იდენტურად ირღვევა თუ არა სადავო ნორმით საქართველოს კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნები, ანუ დაწესებულია თუ არა შეზღუდვა საკანონმდებლო ორგანოს ნორმატიული აქტის ან მის მიერ სხვა ორგანოსათვის დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე.

16. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა. მოთხოვნას ამგვარი დოკუმენტების კონფიდენციალურად მიჩნევის შესახებ,



ამავე წესისა და პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი თან ურთავს საპროექტო განაცხადს. გასაჩივრებული აქტი არ ადგენს რაიმე წინაპირობას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია წარდგენილი წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობის მოთხოვნა დაინტერესებული პირის, ხოლო გასაიდუმლოება – სამინისტროს მხრიდან. ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც, სადავო ნორმის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ხელმძღვანელობს, არის დაინტერესებული პირის მოთხოვნა. იმავდროულად, სადავო დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მიხედვით, არ არის განსაზღვრული ამავე აქტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების ფარგლები – კერძოდ ის, როგორია კონფიდენციალობის ფარგლები და შესაძლებელია თუ არა, რაიმე მხრივ, წარდგენილი დოკუმენტაციის ღიაობის უზრუნველყოფა სამინისტროს მხრიდან. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ საპროექტო განაცხადთან ერთად შესაბამისი წინადადებისა და დოკუმენტაციის კონფიდენციალურად ცნობის მოთხოვნა საკმარისია იმისათვის, რომ სამინისტროს წარმოემვას მათი კონფიდენციალობის უზრუნველყოფის შემხვედრი ვალდებულება. სხვაგვარად, სამინისტრო, კონფიდენციალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სადავო ნორმით, არ არის შეზღუდული გასაიდუმლოების დასაშვებობის, მიზანშეწონილობის ან თუნდაც პროპორციულობის საკითხის შეფასების საჭიროებით და, დაინტერესებული პირის ცალმხრივი მოთხოვნის საფუძველზე, ავტომატურად წარმოემოხა ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის ვალდებულება.

17. იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული ნორმისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების სისტემური ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ, ერთი მხრივ, წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობის ვალდებულება სამინისტროს წარმოემოხა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, ავტომატურად, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო აქტით არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე სამინისტრო შეაფასებს კონკრეტული ინფორმაციის გასაიდუმლოების საჭიროების საკითხს, სამინისტროს ადმინისტრაციული პრაქტიკა, თუნდაც კეთილგანზრახული, ვერ შეცვლის ნორმატიულ რეალობას და ვერ შეავსებს ან შეასწორებს სადავო ნორმის შინაარსს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის მოთხოვნა არ არის ბლანკეტური ხასიათის და უშვებს ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მოპასუხე მხარის განმარტება, რომლის თანახმადაც, სამინისტრო, თითქოს, აფასებს და წყვეტს სამინისტროში წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე დაცვას, სცილდება სადავო დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების ტექსტით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოს და ვერ დასტურდება ვერც სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტებით.

18. შესაბამისად, ნათელია, რომ №1694 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმა ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას. მართალია, სადავო ნორმა შეეხება შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული კატეგორიის ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, თუმცა საქართველოს კონსტიტუციასთან ფორმალური შესაბამისობის დადგენისთვის, როგორც აღინიშნა, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, თავად ამ ინფორმაციის მატერიალურ შინაარსს. მაშასადამე, ნათელია, რომ სადავო ნორმა ზღუდავს იდენტურ კონსტიტუციურ უფლებას, რომლის საკანონმდებლო დელეგირების გარეშე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შეზღუდვაც არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ, 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილების ფარგლებში.

19. საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/ოფიციალურ დოკუმენტზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა იზღუდება საქართველოს მთავრობის დადგენილების ფორმით მიღებული ნორმატიული აქტით. ცხადია, საქართველოს მთავრობის დადგენილება წარმოადგენს არა საკანონმდებლო, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტს. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, რამდენად მოხდა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან საქართველოს მთავრობისთვის პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) შედეგად შექმნილ საჯარო ინფორმაციაზე, საზოგადოების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება.

20. საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხები მოწესრიგებულია



საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომლის III თავი ინფორმაციის თავისუფლებას შეეხება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი საჯარო დაწესებულებებში არსებულ ყველა ინფორმაციას ხელმისაწვდომად მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცემა კანონით არის შეზღუდული. მოპასუხე მხარის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სრულად არეგულირებს მოცემულ საკითხს, ხოლო სადავო ნორმა იდენტური შინაარსის მატარებელია, არ საჭიროებს ამ საკითხის რეგულირებისთვის, საქართველოს მთავრობაზე უფლებამოსილების დამატებით დელეგირებას. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოპასუხე მხარის ამ პოზიციას, რამდენადაც ცალსახაა, რომ სადავო ნორმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებით, გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის ბლანკეტურად (იმისგან დამოუკიდებლად, წარმოადგენს იგი გარემოსდაცვით ინფორმაციას თუ პროექტის განმახორციელებელი პირის კომერციულ საიდუმლოებას) და სრულად დახურვის შესაძლებლობას იძლევა. გასაჩივრებული ნორმის ტექსტობრივი და სადავო დადგენილების სისტემური ანალიზი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცხადყოფს, რომ სამინისტრო, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, ვალდებულია, დაიცვას წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა, ნორმის ფორმულირება არ ტოვებს სივრცეს შეფასებისა და სამინისტროს დისკრეციისათვის, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, სადავო ნორმა განსხვავებულად აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/დოკუმენტზე საზოგადოების წვდომის შესაძლებლობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით კი არ არის დადგენილი სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) დამატებითი მოწესრიგება ან ამ საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება საქართველოს მთავრობაზე.

21. გარდა ამისა, მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილება მიღებულია კანონის აღსასრულებლად, საქართველოს მთავრობისთვის მინიჭებული ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და საინვესტიციო კომპეტენციების ფარგლებში, რაც, ამავე დროს, სადავო დადგენილების გამოცემის საფუძველად არის მითითებული. კერძოდ, მოპასუხე მხარე აპელირებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებზე, რომლებიც აწესრიგებს საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებებს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, კონკურენტული საინვესტიციო გარემოს შექმნისა და სახელმწიფო ქონების მართვის სფეროებში. საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მარტოდენ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების ზოგადი კომპეტენციის არსებობა ვერ იქნება საკმარისი იურიდიული საფუძველი იმისათვის, რომ დასაბუთდეს, საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან, კონკრეტული საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირების ფაქტის არსებობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ზოგადი რეგულირება, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ სფეროში პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების უფლებამოსილებას განსაზღვრავს, ვერ იქნება განხილული, როგორც საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობას ვიწრო სამართლებრივი საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება გადასცა და მიანიჭა შესაძლებლობა, დააწესოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ან მისგან განსხვავებული შეზღუდვები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე/ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის რეგულირების უფლებამოსილების დელეგირებას საქართველოს მთავრობაზე არც ის საკანონმდებლო აქტი ახდენს, რომელიც მითითებულია სადავო დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მიღების სამართლებრივ საფუძველად.

22. დამატებით, საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურად გამოცხადების უფლებამოსილების საქართველოს მთავრობაზე დელეგირებას არ ითვალისწინებს არც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. პირიქით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, სკრინინგისა თუ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) თითოეულ ძირითად ეტაპზე – იქნება ეს სკოპინგის განაცხადი და სკოპინგის ანგარიში, გზმ-ის განაცხადი თუ გზმ-ის ანგარიში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განაცხადი და ყველა თანდართული დოკუმენტი ექვემდებარება საჯაროობის პრინციპს და ქვეყნდება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7



მუხლის მე-5 ნაწილი, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი). გზშ-ის ანგარიშის შემთხვევაში, მაგალითად, დასაიდუმლოებას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება ან/და პერსონალური მონაცემი, რომლის დასაიდუმლოების შესახებაც, საქმიანობის განმახორციელებელი მიუთითებს შესაბამის განცხადებაში. სააგენტო ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით, უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის დასაიდუმლოება (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-6 ნაწილი). გარდა ამისა, სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურად გამოცხადების უფლებამოსილების საქართველოს მთავრობაზე დელეგირებას არ ითვალისწინებს არც „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ან სხვა რელევანტური საკანონმდებლო აქტები.

23. ამდენად, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ სამინისტროსათვის წარდგენილი წინადადებების (შესაბამისი დოკუმენტაციის) კონფიდენციალურობა დადგენილი არ არის არც უშუალოდ საკანონმდებლო ორგანოს ნორმატიული აქტით და არც საკანონმდებლო ორგანოს მიერ სხვა ორგანოსათვის გადაცემული უფლებამოსილების საფუძველზე. შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ მუხლის მიზნებისათვის, განსახილველი სადავო ნორმა არის იმავე შინაარსის მქონე, რომელიც წარსულში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის პლენუმზე განსახილველად გადაცემის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მოთხოვნის ამ ნაწილში, №1694 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის გარეშე.

25. დამატებით, მოსარჩელე მხარე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ, რამდენადაც სადავო ნორმა ჩაითვალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „დამძლევ ნორმად“ და, შესაბამისად, წინამდებარე განჩინებით ძალადაკარგულად გამოცხადდა, აღარ არსებობს მისი კონსტიტუციურობის საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან შეფასების საჭიროება. სწორედ ამაზე მიუთითებს მოსარჩელე მხარე კონსტიტუციურ სარჩელში, როდესაც მსჯელობს, რომ. თუ მოხდებოდა სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა, აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებებთან სადავო ნორმის შესაბამისობის შემოწმება მისთვის ინტერესს დაკარგავს.

26. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქმე უნდა შეწყდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით.

2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა



და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი

27. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის“ აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). იმავედროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.

28. №1694 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით.

29. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ პროექტის განხორციელების თაობაზე, სამინისტროს წინადადების საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა. აღნიშნული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, პროექტის განხორციელების უფლება პროექტის განმახორციელებელ პირს გადაეცემა ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, თუ ამავე ხელშეკრულებით/მემორანდუმით სხვა რამ არ არის დადგენილი.

30. მოსარჩელე მხარე ითხოვს სადავო ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს მთავრობას, ხოლო ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების უფლების წარმოშობას ითვალისწინებს ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, პროექტის გარემოზე ზემოქმედებს შეფასების ჩატარებამდე. მოსარჩელე მხარის განმარტებით, საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკისრება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ნორმატიული სივრცის იმგვარად შემუშავების ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც, ენერგოპროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა ადრეულ ეტაპზე იქნება უზრუნველყოფილი და, ამავე დროს, ამგვარი მონაწილეობა იქნება ეფექტიანი.

31. №1694 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენით ჩატარებულ განმწესრიგებელ სხდომაზე, მოსარჩელე მხრის წარმომადგენლებმა გასაჩივრებული ნორმების სადავო ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს, ერთი მხრივ, იმ ენერგოპროექტებთან მიმართებით, რომლებზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე, ვრცელდება გზშ-ის პროცედურა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ან II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც, სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაექვემდებარება გზშ-ის) და, მეორე მხრივ, იმ ენერგოპროექტებთან მიმართებით, რომლებიც არ ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით.



32. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს, თავდაპირველად, იმ ენერგოპროექტების ჭრილში განიხილავს, რომლებიც, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

2. იმ ენერგოპროექტებთან მიმართებით, რომლებზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე, ვრცელდება გზშ-ის პროცედურა

33. №1694 კონსტიტუციურ სარჩელის ავტორი, როგორც აღინიშნა, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, აგრეთვე იმ ენერგოპროექტების კონტექსტში, რომლებზეც, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე, ვრცელდება გზშ-ის პროცედურა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ან II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც, სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაექვემდებარება გზშ-ს). მოსარჩელე მხარის პოზიციით, საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ პროექტის განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღება, ისევე, როგორც პროექტის განხორციელების უფლება პროექტის განმახორციელებელ პირს გადაეცემა ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, პროექტის გარემოზე ზემოქმედებს შეფასების ჩატარებამდე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებით გარანტირებულ მონაწილეობით უფლებებს. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაინტერესებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისა და, ამ მომენტიდან, მისთვის პროექტის განხორციელების უფლების გადაცემის შემდგომ, გზშ-ის პროცედურების ჩატარება დაგვიანებული და არაეფექტიანია. მსგავს ვითარებაში, გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში, სააგენტო), როგორც იერარქიულად საქართველოს მთავრობაზე ქვემდგომ ორგანოს, გზშ-ის ჩატარების ეტაპზე, არ რჩება დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების გაუქმების რეალური შესაძლებლობა. აღნიშნული კი, მოსარჩელე მხარის პოზიციით, ნიშნავს იმას, რომ ამ ეტაპზე ვერც საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დროული და ჯეროვანი მონაწილეობისა და შედეგზე ზემოქმედების რეალური ბერკეტი.

34. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გზშ-ს ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს. აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გზშ განიმარტება, როგორც შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ხსენებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გარემოზე ზემოქმედება გულისხმობს, მათ შორის, საქმიანობის განხორციელებით გამოწვეულ გარემოზე ნებისმიერ ზემოქმედებას, რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს სხვადასხვა ფაქტორებზე – ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ბიომრავალფეროვნებასა და მის კომპონენტებზე, წყალზე, ჰაერზე, ნიადაგზე, მიწაზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე და დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედებას. გარემოზე ზემოქმედება მოიცავს, აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია მათი ცვლილებით. იმავდროულად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გზშ-ის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

35. თავის მხრივ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებიც, თავად საქმიანობების ტიპებისა და ზღვრების გათვალისწინებით, სავალდებულოდ ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას, ენერგოპროექტების კონტექსტში წარმოადგენს, მაგალითად, 5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია; 10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია. ამასთანავე, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სკრინინგის პროცედურის შედეგად,



წყდება მიზანშეწონილობა იმისა, დაექვემდებარება თუ არა გზმ-ის პროცედურას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა, მაგალითად, წვის დანადგარი 2 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ელექტროენერჯის წარმოებისათვის, აგრეთვე 2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია. მაშასადამე, ენერგოპროექტების მნიშვნელოვან ნაწილზე ვრცელდება გზმ-ის პროცედურა.

36. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობას, რომელიც, აღნიშნული კოდექსის საფუძველზე, ექვემდებარება გზმ-ის პროცედურას. ამასთანავე, დადგენილია, რომ, თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ. აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით, დამატებით, დადგენილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიით/ნებართვით არ შეიძლება დადგინდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო სალიცენზიო/სანებართვო პირობები. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, შეასრულოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვის მოპოვება დაკავშირებულია ისეთი ობიექტის მშენებლობასთან, რომელშიც გათვალისწინებული საქმიანობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ექვემდებარება გზმ-ს, საქმიანობის განმახორციელებელი, ვალდებულია, სანებართვო განაცხადს დაურთოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (იხ., „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). მსგავსად, ენერგეტიკული საქმიანობის ლიცენზიის მამიებელს ეკისრება ვალდებულება, რომ, კომისიას სალიცენზიო განაცხადთან ერთად, წარუდგინოს, მათ შორის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თუ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის განსახორციელებლად (იხ., „ლიცენზირების წესებისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის №22 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული „ლიცენზირების წესის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი). ამგვარად, ზემოხსენებული რეგულაციების ერთობლივი ანალიზით დგინდება, რომ მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში, დაუშვებელია გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელება ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის გაცემა/ძალაში შესვლა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე.

37. თავის მხრივ, როგორც აღინიშნა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გზმ-ს ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზმ-ს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გზმ-ის ძირითადი ეტაპებია სკოპინგის პროცედურა, გზმ-ის ანგარიშის მომზადება, საზოგადოების მონაწილეობა, სააგენტოს მიერ გზმ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება, ექსპერტიზის ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა. სააგენტო მხოლოდ აღნიშნული ძირითადი ეტაპების დასრულების შემდეგ გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. მაშასადამე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა მხოლოდ გზმ-ის ყველა ეტაპის დასრულების შემდგომ.

38. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სკოპინგის ანგარიშით, გზმ-ის ანგარიშით ან/და



ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათისა და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 საფუძველზე, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, როგორც სკრინინგის და სკოპინგის, აგრეთვე გზშ-ის ეტაპებზე. ამრიგად, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან წინააღმდეგობის ან გარემოზე ზემოქმედების მიუღებლობის მიზეზით, სააგენტოს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობაზე უარის თქმის შესახებ.

39. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას, საზოგადოების მონაწილეობა გზშ-ის პროცესში რამდენმე საკვანძო ეტაპზეა გათვალისწინებული. კერძოდ, სკოპინგის ეტაპზე – გასაჯაროებას ექვემდებარება სკოპინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში, რომლებთან დაკავშირებითაც, საზოგადოებას აქვს მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენის, ისევე, როგორც სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 30-ე მუხლი); დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის არსებითად მსგავსი ფორმებია გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშის განხილვის ეტაპთან მიმართებით (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10, მე-11, 30-ე–34-ე მუხლები). ამავ დროს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემისას, სააგენტოს ეკისრება ვალდებულება, განიხილოს და მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 35-ე მუხლი). იმ შემთხვევაში კი, თუ საზოგადოების ნებისმიერი წევრი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იქნა უზრუნველყოფილი მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, გაასაჩივროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სასამართლოში (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 36-ე მუხლი). ამგვარად, ხსენებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოება მონაწილეობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც სკოპინგის ეტაპზე, აგრეთვე გზშ-ის ანგარიშის განხილვის დროს საჯარო განხილვებისა და მოსაზრებების წარდგენის ფორმით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაითვალისწინოს საზოგადოების მოსაზრებები/შენიშვნები.

40. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წარმოადგენს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობას. გზშ-ის ეტაპების დასრულებამდე, აკრძალულია შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის გაცემა/შესაბამისი სტადიის დასრულება/ძალაში შესვლა. ამასთანავე, კანონმდებლობით გათვალისწინებულია სააგენტოს ვალდებულება, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მიუღებლობის საფუძველით, მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით, განსაზღვრულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, გზშ-ის სხვადასხვა ეტაპზე, ისევე, როგორც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შედეგების სათანადო ასახვის ვალდებულება.

41. მიუხედავად ზემოთ განხილული გზშ-ის მექანიზმებისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურებისა, მოსარჩელე მხარის მოთხოვნის საფუძველიანობის დასადგენად, მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, გაანალიზებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით განსაზღვრული ნორმატიული ჩარჩო, რომელიც ადგენს ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების წარდგენის, განხილვისა და პირობების დამტკიცების წესებს, მათ შორის, საქართველოს მთავრობასა და პროექტის განმახორციელებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ბუნებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე იმას, რა ურთიერთკავშირი არსებობს, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით, ხოლო, მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ სამართლებრივ წესრიგს შორის.



42. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, სამინისტროს მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე. აღნიშნული წესისა და პირობების მე-3 და მე-4 მუხლების მიხედვით, პროექტის განხორციელების ორგანიზება იწყება დაინტერესებული პირის მიერ სამინისტროსათვის განაცხადისა და თანდართული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის წინარე კვლევის (შემდგომში, წინარე კვლევა) წარდგენით, რის შემდეგაც, სამინისტრო წინადადებას ამოწმებს, აფასებს და, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ხსენებული წესითა და პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, წარუდგენს საქართველოს მთავრობას. საბოლოოდ, წარდგენილი წინადადების მოწონების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა დაინტერესებულ პირთან აფორმებს ხელშეკრულებას/მემორანდუმს.

43. საქართველოს მთავრობასა და პროექტის განმახორციელებელ პირს შორის დადებული პროექტის განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება/მემორანდუმი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოიცავს ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას ან/და მშენებლობას. აღნიშნული ხელშეკრულება/მემორანდუმი ითვალისწინებს პროექტის განხორციელების უფლების პროექტის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების მომენტიდან, განსაზღვრავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, (შესაძლო) მშენებლობისა და ოპერირების ეტაპებზე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ადგენს საბანკო გარანტიების წარდგენასა და დარღვევის შემთხვევაში – საქართველოს მთავრობის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობას.

44. ამავე დროს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების საფუძველზე, საქართველოს მთავრობასა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი, არ არის საკმარისი, თავისთავად, კონკრეტული პროექტის დასაწყებად, არამედ მისი განხორციელება დამოკიდებულია ამავე აქტითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, პროექტის განხორციელების უფლების შესახებ ხელშეკრულების/მემორანდუმის რეალიზება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გზშ-ის პროცედურას დაქვემდებარებულ პროექტებთან მიმართებით, დამოკიდებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების არსებობაზე. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურების წარმართვაზე ზეგავლენას ვერ ახდენს საქართველოს მთავრობასა და პროექტის განმახორციელებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმი. იმავედროულად, საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ლიცენზი(ებ)ის ან ნებართვ(ებ)ის აღებაში მხარდაჭერა, ისევე, როგორც პროექტის არეალში მოქცეულ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შესაბამისი უფლებების პროექტის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემა პირობადებულია სათანადო სალიცენზიო და სანებართვო პირობების, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები). დამატებით, თავის მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გზშ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა გაიცემა მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

45. №1694 კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელ სხდომაზე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით ინიცირებული პროექტის თაობაზე ხელშეკრულების/მემორანდუმის ბუნებაზე მსჯელობისას, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ ინიცირებული პროექტი მოწმდება სიცოცხლისუნარიანობაზე, რაც, როგორც წესი, გულისხმობს რამდენიმეფაზიანი ხელშეკრულების/მემორანდუმის დადებას. აღნიშნული, თავის მხრივ, როგორც წესი, მოიცავს სამი კატეგორიის ხელშეკრულებას – კვლევის, კვლევა-მშენებლობისა და მშენებლობის შესახებ. სადავო აქტის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების, დაახლოებით, 90% არის ორფაზიანი, რაც გულისხმობს კვლევა-მშენებლობას. ამავე დროს, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების განმარტებით, სადავო აქტში მითითებული პროექტის განხორციელების უფლების მოპოვება არ არის, კლასიკური გაგებით, ნებართვა ამგვარი პროექტის განხორციელებისათვის და პირს არ ათავისუფლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა ნებართვების, შეფასებებისა და, მათ შორის, სოციალური რისკების შეფასების კვლევის



46. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების მსჯელობის მართებულობას ადასტურებს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, მოპასუხე მხარის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გადმოცემული საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები. აღნიშნული ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზით დგინდება, რომ წინასამშენებლო ფაზის შესახებ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროექტის განმახორციელებელი პირის, კომპანიის ვალდებულებათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და ვადების გათვალისწინებით, გზმ-ის განხორციელება, საჯარო განხილვების ჩატარება და შესაბამისი ანგარიშების/შედეგების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა. იმავედროულად, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მასვე ეკისრება სამინისტროსათვის წინადადების წარდგენის ვალდებულება, რომელიც უნდა შეიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და საჯარო განხილვების შედეგებს. გარდა ამისა, ამავე ხელშეკრულებების მიხედვით, ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისა და სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს აწერენ სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ ხელშეკრულებას. საქართველოს მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს, მათ შორის, გზმ-ის ანგარიშს და საჯარო განხილვის შედეგებს. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზი ადასტურებს, რომ პროექტის განხორციელება და, განსაკუთრებით, მშენებლობის ეტაპზე გადასვლა, უშუალოდ დამოკიდებულია გზმ-ის შედეგებზე და საზოგადოების მონაწილეობით ჩატარებული საჯარო განხილვების დასკვნებზე.

47. მაშასადამე, საქართველოს მთავრობასა და პროექტის განმახორციელებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმი ქმნის კონკრეტული პროექტის განხორციელების წინაპირობას, თუმცა არ ნიშნავს გარემოზე რეალური ზემოქმედებს მქონე ქმედების განხორციელების უფლებას და არ უტოლდება პროექტის ავტომატურ განხორციელებას. პროექტის რეალური განხორციელება დამოკიდებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კანონიერად მიღებასა და მისით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებაზე. ხელშეკრულება/მემორანდუმი არ ქმნის ნებართვას მშენებლობის დაწყებაზე, არამედ წარმოადგენს ერთგვარ სამთავრობო-საინვესტიციო შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს სამომავლო ვალდებულებებს მხარეებისათვის და კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების აუცილებლობას. ამდენად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, საზოგადოებრივი მონაწილეობით, აუცილებელი პირობაა იმ პროექტებისთვის, რომლებიც ექვემდებარება გზმ-ს და რომლებზეც ვრცელდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი პროცედურები.

48. რაც შეეხება მოსარჩელე მხარის არგუმენტაციას, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაინტერესებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისა და, ამ მომენტიდან, მისთვის პროექტის განხორციელების უფლების გადაცემის შემდგომ, სააგენტოს, როგორც იერარქიულად საქართველოს მთავრობაზე ქვემდგომ ორგანოს, გზმ-ის ჩატარების ეტაპზე, არ რჩება დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში სააგენტოს მთავარ როლსა და კომპეტენციას განეკუთვნება II დანართში მითითებული საქმიანობებისთვის, სკრინინგის პროცედურის საფუძველზე გზმ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა, სკოპინგის დასკვნის გაცემა, გზმ-ის ანგარიშების ექსპერტიზის ჩასატარებლად საექსპერტო კომისიის შექმნა, ისევე, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებულ პირთან ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების თაობაზე, გზმ-ის პროცედურის წარმართვასა და, საბოლოოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტი სწორედ სააგენტოა. აღნიშნული კომპეტენცია პირდაპირ არის დადგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, აგრეთვე გზმ-ის წარმართვის პროცედურას, ამ პროცესში წარსადგენ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, გზმ-ის თითოეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისათვის გასათვალისწინებელ ფაქტორსა და გარემოებას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველსა და ამგვარი გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის სავალდებულო წინაპირობებს. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო, თავისი საქმიანობის ფარგლებში, შესასრულებლად სავალდებულო და მხოჭავია სააგენტოსათვის, რამდენადაც პირდაპირ ადგენს მის



უფლებამოსილებებსა და მოქმედების ფარგლებს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირთან – ინვესტორთან, ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების თაობაზე სამართლებრივად ვერ ცვლის ან აუქმებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გარემოზე ზემოქმედების კოდექსით დადგენილ წესსა და მის სავალდებულო ხასიათს. ამგვარი კომპეტენციური გამიჯვნა ემსახურება იმას, რომ საბოლოო გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების დასაშვებობის შესახებ, არ დაეფუძნოს ამა თუ იმ ხელშეკრულებას/მემორანდუმს, არამედ მიღებულ იქნეს სააგენტოს მიერ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების ფარგლებში, საზოგადოების მონაწილეობის ჩათვლით.

49. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, მოცემულ საქმეზე, მოსარჩელე მხარე კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს თავად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული პროცედურების ეფექტიანობას, სააგენტოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების შინაარსს ან/და გზშ-ის პროცედურის ან მისი რომელიმე ეტაპის ხარვეზიანობას. მოსარჩელე მხარე არც იმას ამტკიცებს, რომ სააგენტოს არ გააჩნია კანონმდებლობით გამყარებული დამოუკიდებლობის გარანტიები. მისი არგუმენტაცია ეფუძნება მხოლოდ დაშვებას, რომ სააგენტო, თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში, დაარღვევს, უგულებელყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და დაექვემდებარება საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების/მემორანდუმის გავლენას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარე არ ასაბუთებს სააგენტოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შემცველი სამართლებრივი გარემოებების არსებობას ან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით სააგენტოსათვის მიკუთვნებული კომპეტენციების ან/და ამავე კოდექსით დადგენილი პროცედურების არაეფექტიანობას, მარტოდენ ვარაუდი იმისა, რომ სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით იმოქმედებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ არის საკმარისი კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უფლების შეზღუდვის ფაქტის დადასტურებისათვის.

50. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესი და პირობები, მათ შორის, №1694 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმები ასუსტებს, კრძალავს ან გამორიცხავს საზოგადოებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას და, ამ ფორმით, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 წინადადებით გარანტირებულ უფლებას.

2. იმ ენერგოპროექტებთან მიმართებით, რომლებზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე, არ ვრცელდება გზშ-ის პროცედურა

51. განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, აგრეთვე იმ ენერგოპროექტების ჭრილში, რომლებიც, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, არ ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. განმწესრიგებელ სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციების გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მიღწევა იმისა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებში ჩამოთვლილი საქმიანობების მიღმა არსებულ ენერგოპროექტებზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მთავრობის მიერ, ხოლო დაინტერესებული პირისათვის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების უფლების წარმოშობა არ მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. ამასთანავე, მოსარჩელე მხარის მითითებით, მსგავსი მონაწილეობა შესაძლებელია, არ იყოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მსგავსი/იდენტური, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ პროექტებს [იგულისხმება საქმიანობები, რომლებიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებში] შესაძლოა, ნაკლები ზეგავლენა გააჩნდეს გარემოზე.

52. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, როგორც აღინიშნა, გზშ-ს ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს. მიუხედავად ამისა,



გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი სამართლებრივი წესრიგისა და შესაბამისი პროცედურების მიღმა რჩება ენერგოპროექტების ის ნაწილი, რომლებიც არ არის მითითებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I ან/და II დანართებში. ამგვარ პროექტებს წარმოადგენს, მაგალითად, 2 მეგავატამდე სიმძლავრის ელექტროენერჯის წარმოებისთვის წვის დანადგარი ან 2 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლოატაცია. მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას მიკუთვნებული ენერგოპროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საკითხს მიემართება.

53. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამავე კოდექსის IX თავით დადგენილი წესები. აღნიშნული კოდექსის 116-ე მუხლი ადგენს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულებას, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია იმ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი მისამართი; განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ისევე, როგორც მოსაზრების წარდგენის ვადა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად კი, დადგენილია საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების სია, რომელსაც განეკუთვნება განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე; დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში; და იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი. ხსენებული მუხლით გარანტირებულია, აგრეთვე ყველას მიერ საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და მათი ასლების მოთხოვნის უფლება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე და 120-ე მუხლები კი აწესრიგებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზეპირი მოსმენის სავალდებულოდ გამართვას, ყველას მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენისა და ზეპირ მოსმენაში ნებისმიერი დაინტერესებული პირის მონაწილეობის შესაძლებლობებს.

54. ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების მიღმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობისა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გარკვეულ მექანიზმებსა და ბერკეტებს. საზოგადოების მონაწილეობისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენება დასაშვებია მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილება არ ექცევა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით რეგულირებულ, გზმ-ის პროცედურის ფარგლებში, რისთვისაც საკმარისია, რომ საქმე ეხებოდეს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემას ან პირთა ფართო წრის ინტერესს.

55. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოსარჩელე მხარის მიზანია უზრუნველყოს, რომ იმ ენერგოპროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ექვემდებარება გზმ პროცედურებს, საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილება არ მიიღებოდეს და დაინტერესებულ პირს პროექტის განხორციელების უფლება არ წარმოეშობოდეს საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. ამავე დროს, მოსარჩელე არ მოითხოვს, რომ, ენერგოპროექტების კონტექსტში, საქმიანობების გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართების ფარგლებში მოქცევა არასათანადო კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა. მოსარჩელე მხარე არც იმას ასაბუთებს, რომ მსგავსი ენერგოპროექტები, გარემოზე ზემოქმედების შესაძლო მასშტაბიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების ფარგლებში უნდა მოექცეს ან იმას, რომ მათზე გავრცელდეს ხსენებული კოდექსით გათვალისწინებული სრულმასშტაბიანი გზმ-ის პროცედურები, რაც დადგენილია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების პოტენციალის მქონე საქმიანობებისთვის. მაშასადამე, მოსარჩელე მხარის პოზიცია უკავშირდება მხოლოდ იმას, რომ სადავო ნორმების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მონაწილეობის გარკვეული სტანდარტი, რაც, როგორც აღინიშნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ისედაც გარანტირებულია.

56. საპირისპიროდ, მოცემულ საქმეზე, მოსარჩელე მხარეს არ დაუდასტურებია, ერთი მხრივ,



გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართების მიღმა არსებული ანუ კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოზე მცირე მნიშვნელობის ზეგავლენის პოტენციალის მქონე, ენერგოპროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 წინადადების მოთხოვნაა, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ასეთი პროექტები საჭიროებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ ან უფრო ინტენსიურ მონაწილეობით სტანდარტს. მოსარჩელე მხარეს არ მიუთითებია არც ერთ კონკრეტულ ფაქტზე ან გარემოებაზე, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოქმედი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები, როგორებიცაა საჯარო გაცნობა, მოსაზრების წარდგენა და ზეპირი მოსმენა, არასაკმარისია ამ ტიპის ენერგოპროექტებთან მიმართებით საზოგადოების მონაწილეობის კონსტიტუციური სტანდარტის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, მოსარჩელე მხარემ, ამ თვალსაზრისით, ვერ დაადასტურა მოთხოვნის საფუძვლიანობა. ამგვარად, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, მოსარჩელე მხარის პრეტენზია აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია.

57. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1694 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არსებობს მისი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და 4¹ პუნქტების, 27¹ მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31² მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 31⁵ მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების, 31⁶ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1694 კონსტიტუციური სარჩელი („(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

(ა) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს



კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით;

(ბ) „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

2. „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ განჩინების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

3. შეწყდეს საქმე №1694 კონსტიტუციურ სარჩელზე („ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-4 წინადადებებთან მიმართებით.

4. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. განჩინება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

